

კონსტანტინე ლადარია

კონსტანტინე ლადარია დაიბადა 1987 წლის 29 მარტს. არის ილიას უნივერსიტეტის *მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრის* წევრი და *შვეიცარიის კავკასიური აკადემიური ქსელის ასოციაციის* აღმასრულებელი დირექტორი. დასრულებული აქვს ილიას უნივერსიტეტის „ფილოსოფია და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები სოციოლოგიის განხრით. ამჟამად არის ამავე უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარულ კვლევათა მიმართულების დოქტორანტი. კითხულობს სალექციო კურსებს რელიგიის სოციოლოგიის სფეროში ილიას უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. მიღებული აქვს მონაწილეობა შვეიცარიის კავკასიური აკადემიური ქსელის (ASCN) მიერ დაფინანსებულ ორ წლიან კვლევით პროექტში ქართული ნაციონალური იდეოლოგიისა და მასზე მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის საკითხზე. ასევე ნორვეგიის საგარეო ურთიერთობათა კვლევის ინსტიტუტის (NUPI) მიერ დაფინანსებულ ერთ წლიან კვლევით პროექტში საქართველოში დევნილთა მდგომარეობის საკითხზე. გამოქვეყნებული აქვს აკადემიური და პუბლიცისტური სტატიები რელიგიისა და პოლიტიკის სფეროებში. წაკითხული აქვს მოხსენებები და საჯარო ლექციები ქართულ ინტერ-ეთნიკურ ურთიერთობებსა და რელიგიურ შეუწყნარებლობაზე.